საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2144
01/06/2022

2144-21-2-202206010942

შპს „ვასაძის ჩაის“

მის: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნასაკირალი
ელ. ფოსტა: Merabi.vasadze@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №11416 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნასაკირალში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად), ასევე საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით;
- დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტის დასახელება, საიდანაც გათვალისწინებულია წყალაღება, ვინაიდან, რიგ შემთხვევაში იგი მოხსენიებულია, როგორც „ხევი“, ხოლო რიგ შემთხვევაში – „უსახელო არხი“, ასევე წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღწერა და სიტუაციური რუკა, სადაც დატანილი იქნება წყალაღების წერტილი და საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფანი;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ წყალაღება მოხდება 5 თვის განმავლობაში. თითოეულ თვეს აღებული წყლის რაოდენობა შეადგენს 725 მ^3–ს, ხოლო წელიწადში – 3000–3200 მ^3-ს, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს წლიურად ასაღები წყლის ჯამური მოცულობა;

- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა და თვეების მიხედვით სამარაგო რეზერვუარის შევსების ჯერადობა;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ წყალაღების წერტილიდან აღებული წყალი მილსადენის მეშვეობით შეგროვდება საპროექტო ტერიტორიაზე 60 m^3 მოცულობის მქონე წყალშემკრებ რეზერვუარში. დაზუსტებას საჭიროებს სამარაგო რეზერვუარის ტიპი (პოლიეთილენის, ბეტონის, გრუნტის და ა.შ.) და მოწყობისას ამოღებული ნიადაგის/გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში განხილული უნდა იქნეს სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირების პროცესში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო